



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტო  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010150625361218

06 / სექტემბერი / 2018 წ.  
# 886/ს

**კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებისათვის ტყის ფონდის  
სარგებლობაში გაცემის მიზნით N270 ელექტრონული აუქციონის გამოცხადების  
შესახებ**

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი და 1<sup>1</sup> პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 48-ე მუხლის, შპს "ვიონი საქართველო"-ს 2018 წლის 30 ივლისის N852/18 და 21 აგვისტოს N892/18 წერილებისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 30 აგვისტოს N17218/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებისათვის ტყის ფონდის სარგებლობაში გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტზე:

**ლოტი N1-** სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდი, ხონი-წყალტუბოს სატყეო უბანი, ცხუნკურის სატყეო, ყუმისთავის ყოფილი საკოლმეურნეო ტყე - 146 მ<sup>2</sup> (საკადასტრო კოდი: 29.05.43.006).

**ლოტი N 2-** სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდი, ხაიშის სატყეო უბანი, ხაიშის სატყეო, კვარტალი N14, ლიტერი N8 - 81 მ<sup>2</sup> (საკადასტრო კოდი: 42.16.46.050).

**ლოტი N3 -** სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდი, ხაშურის სატყეო უბანი, სურამის სატყეო, კვარტალი N15, ლიტერი N1 - 110 მ<sup>2</sup> (საკადასტრო კოდი: 69.04.59.291).

**ლოტი N4 -** სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდი, ლენტეხის სატყეო უბანი, ლაშხეთის სატყეო, კვარტალი N98, ლიტერი N10 - 151 მ<sup>2</sup> (საკადასტრო კოდი: 87.06.24.008).


2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითმოსარგებლის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1, N2, N3 და N4 დანართების შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსს (გ. ხაბეიშვილი) სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს", ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურის უფროსს (ბ. კიწმარიშვილი) სსიპ "ეროვნული სატყეო სააგენტოს", ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზირი #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის  
მოადგილე

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელემენტურულად 

გრიგოლი ბლიაძე